

# პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:21

საერთო საზღვრები, საერთო გადაწყვეტილებები

”პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსი

## TESIM „გარემოს დაცვის გამოწვევები” თემატური კლასტერი “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის” (ZEWSGES-257) პროექტი ონლაინ ინტერვიუ



TESIM ENI CBC-ის ექსპერტებმა ბ.ნ ჰუსეინ აკტურკმა და ბ.მ რუბენ სარუხანიანმა 2020 წლის 7 მაისს მოამზადეს ონლაინ ინტერვიუები პროფესორ ფატიჰ კონუკჩუსთან (ტეკირდაგის ნამიქ ქემალის უნივერსიტეტი-თურქეთი) ასევე 2020 წლის 18 მაისს ინტერვიუ ჩაიწერა ბ.ნ მამუკა გვილავასთან ( კივიტას გეორგიკა) საუბრის თემა გახლდათ „გარემოს დაცვის გამოწვევები” თემატური კლასტერი. ინტერვიუების დროს ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის დონეზე იმ პროექტების უკეთეს წარმოჩენაზე , რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ კარგ მაგალითს და პრაქტიკას რომელიც სხვა სფეროებშიც გავრცელდება. ინტერვიუების დროს განხილული იყო შემდეგი შეკითხვები:

1. პროექტის მიმოხილვა: რას ეხება პროექტი? რატომ გადაწყვიტეთ პროექტის განხორციელება?
2. პროექტის შედეგები: შესრულდა თუ არა პროექტით გათვალისწინებული ამოცანები?
3. პროექტის მდგრადობა: ვინ ისარგებლებს პროექტის მიღწევებით და როგორ მისი დასრულების შემდგომ ? სრულდება თუ არა პროექტი გეგმის მიხედვით?
4. მიღებული გაკვეთილები: what would you do differently? რას გააკეთებდით სხვაგვარად?
5. ENI დამატებითი ღირებულება: რა შეცვალა ENI დაფინანსებამ? შეგეძლოთ თუ არა სხვაგვარად განხორციელება?

### 1. პროექტის მიმოხილვა: რას ეხება პროექტი? რატომ გადაწყვიტეთ პროექტის განხორციელება?

გვსურს მადლობა გადახიდადოთ თქვენ და TESIM-ს ჩვენი პროექტის გაცნობის შესაძლებლობისთვის.წარმატებულ შეხვედრას გისურვებთ.



# პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

## ელ.ბიულეტენი No:21

საერთო საზღვრები, საერთო გადაწყვეტილებები

”პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსი

### Project Name and acronym პროექტის სახელი და აკრონიმი

პროექტის სრული სახელწოდებაა ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის”. ხოლო აკრონიმი გახლავთ “ZEWSGES” თუმცა სიმარტივისთვის ჩვენ მას „ნულოვან ნარჩენს” ვუწოდებთ.

### პროექტის წამყვანი პარტნიორი:

წამყვანი პარტნიორი გახლავთ ტეკირდაგის ნამიქ ქემალის სახელობის უნივერსიტეტი, (თურქეთი)

### პროექტის პარტნიორები:

- ნესებარის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საბჭო, ბულგარეთი
- UKRMEPA UKRAINE უკრაინის საზღვაო გარემოს დაცვის ასოციაცია, უკრაინა
- საერთაშორისო ასოციაცია „კვიტას გეორგია”, საქართველო

ჩვენ უწინ უკვე განვახორციელეთ პროექტები ჩვენს პარტნიორებთან ერთდ, შავი ზღვის აუზის სასაზღვრო თანამშრომლობის 2007-2013 წლის პროგრამის ფარგლებში. შევიმუშავეთ ძლიერი თანამშრომლობის ძლიერი მექანიზმი შავი ზღვის აუზში არსებული საერთო პრობლემების ერთობლივი გადაჭრის გზების კუთხით

### პროექტის მიზანი

პროექტი მიზნად ისახავს წვლილის შეტანას შემდეგი პრობლემების მასშტაბის ზოგად შემცირებაში (1) ხილვადი (> 2.5 სმ) ნარჩენები სანაპიროებზე, რაც მოიცავს, პლასტიკატს, სათევზაო და სანიტარიულ ნარჩენებს; (2) ზღვის ფსკერზე არსებული ნარჩენი საგნები კვადრატულ მეტრზე, თევზაობასთან დაკავშირებული ნარჩენი 2012 დონიდან 2020 მდე, შემდეგ გეოგრაფიულ ლოკაციებში- ოდესა უკრაინა, ბურგასი, ბულგარეთი, გურია საქართველო და ტეკირდაგი, თურქეთი.

### რატომ არის ეს საკითხი მნიშვნელოვანი გარემოსთვის?

საზღვაო დაბინძურება გახლავთ გარემოს პრობლემებიდან ერთერთი ყვლაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ზღვის ეკოსისტემებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

საზღვაო დაბინძურებას არ გააჩნია საზღვრები, ნაგავი მსოფლიოს ყველა ოკეანეში გადაადგილდება.

ყოველწლიურად, საზღვაო გარემოში დაახლოებით 6.4 მილიონი ტონა ნარჩენი ხვდება მსოფლიო მასშტაბით. გაეროს გარემოს პროგრამის ანგარიშის მიხედვით, ზღვების ყოველ კილომეტრზე საშუალოდ 18,000 ერთეული პლასტიკატის ნარჩენი ტივტივებს.

მედიაშიც გაშუქდა, პლასტიკატის გროვა, „კონტინენტი” რომელიც წყნარ ოკეანეში აღმოჩნდა, მას ხუმრობით „მერვე კონტინენტსაც” უწოდებენ.



Project funded by  
EUROPEAN UNION



# პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

## ელ.ბიულეტენი No:21

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსი

დაბინძურება სერიოზულად აზიანებს ზღვის ბინადართა სიცოცხლეს. არამხოლოდ ემუქრება მათ არამედ წარმოადგენს საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობისთვისაც საკვების ჯაჭვის სათავეში.

პლასტიკატი ზღვაში მოხვედრის შემდგომ მალევე მიკრო ნაწილაკებად იშლება. მიკრო პლასტიკატს კი ადვილად ყლაპავენ ზღვის ბინადარნი, როგორც საკვებს. დიდი ზღვის ცხოველები მცირე ზომის ზღვის ქმნილებებით იკვებებიან, ადამიანი კი სწორედ დიდი ზომის ზღვის ცხოველებს საკვებად მოიხმარს. აქედან გამომდინარე, რთული არ არის იმის მიხვედრა, რომ პლასტიკატს რომელსაც ზღვაში მოვისვრით საბოლოოდ ისევე ჩვენს თეფშზე აღმოჩნდება.

ზღვის დაბინძურება გლობალური და კომპლექსური პრობლემაა. მასთან ბრძოლისას მულტიგანზომილებიანი და სასაზღვრო თანამშრომლობაა საჭირო.

შავ ზღვას განსაკუთრებული მდებარეობა აქვს, რამდენადაც ის ხმელეთებს შორის მოქცეული ზღვაა და 17 სხვადასხვა ქვეყნის ნარჩენის მიმღებია.

ევროკავშირის ქვეყნები მონიტორინგს უწევენ საზღვაო დაბინძურებას და სამართლებრივ ღონისძიებებსაც ატარებენ დამბინძურებლებისა და დაბინძურების ტრენდების მიხედვით. ევროკავშირთან სამეზობლოს გამო, შავი ზღვის დაბინძურების მონიტორინგიც მოხვდა დღისწესრიგში,თუმცა ჯერჯერობით მონიტორინგის განხორციელება ვერ ხერხდება.

როდესაც BSB CBC ერთობლივი ოპერაციული პროგრამა ამოქმედდა, ,, საერთო ცნობიერების გაზრდა და ერთობლივი ქმედებები მდინარისა და ზღვის დაბინძურების შესამცირებლად” ერთერთი პრიორიტეტი იყო.

საინტერესოა ერთი ამბის გახსენება, როდესაც ჩვენი წინა პროექტის ფინალურ კონფერენციაზე ყავას ვსვამდით, TURMEPA-ს ბროუმურაში ვნახეთ ფოტო-სურათი, რომელზეც სტუდენტები სანაპროს ასუფთავებდნენ, პროექტის ქართველმა კოორდინატორმა ბ.ნ გიორგი მესხიძემ მაშინ თქვა , რომ იპოვა ჩვენი შემდგომი პროექტის თემა, მან თქვა: ,, ჩვენ ფოკუსი უნდა გავაკეთოთ ბავშვებზე, რომლებიც სანაპიროების დასუფთავებაში ჩაერთვებიან”

სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ შეგვესწავლა, მონიტორინგი, ცნობიერების ამაღლების გზები და საზღვაო დაბინძურების პრევენცია.

საზღვაო დაბინძურების მონიტორინგი და კვლევა აჩვენებს რომ საზღვაო დაბინძურება ძირითადად სახმელეთო მიზეზებიდან მომდინარეობს. არაადეკვატური მყარი ნარჩენის მართვა ზღვის დამაბინძურებლების წარმოქმნის ძირითადი მიზეზია. ასე რომ, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ საიდან მოდის დაბინძურება, რათა მოვახდინოთ პრობლემის გამომწვევზე ფოკუსირება და ჩამოვაყალიბოთ საპრევენციო ზომები. გარდა ზღვის სისუფთავისა, საჭიროა დაბინძურების წყაროებისა და მათი გავლენების გამოვლენა ეკოსისტემებზე.



# პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

## ელ.ბიულეტენი No:21

საერთო საზღვრები, საერთო გადაწყვეტილებები

”პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსი

### ჩვენ გადაწყვეტით, ორ სხვადასხვა სფეროზე ფოკუსირება ჩვენს პროექტში:

#### 1. საზღვაო დაბინძურების შეგროვება და მოშორება

- „ნაგავზე თევზაობა” ოთხი კამპანია (თითო ერთ ქვეყანაში) ადგილობრივ მეთევზეებთან ერთად, რომელიც გულისხმობს, მინიმუმ 1,5 ტონა ნარჩენის შეგროვებას, კერძოდ ზღვის ფსკერებიდან მიტოვებული სათევზაო ბადეების ამოღებას.
- სანაპიროს დასუფთავების ოთხი კამპანია (თითო ერთ ქვეყანაში) 7-16 წლის ასაკის მოსწავლეები და მათი მასწავლებლები აგროვებენ სულ მცირე 0,5 ტონა ნარჩენს სანაპიროებზე.
- სანაპიროს დაბინძურების მონიტორინგი და მონიტორინგის მეთოდის შემუშავება.

#### 2. საჯარო ცნობიერება ბავშვებში ( ეკოსისტემის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამა (EEP)

75 საჯარო სკოლა (50 თურქეთიდან, 5 ბულგარეთიდან, 10 უკრაინიდან, 10 საქართველოდან) 50 არასამთავრობო ორგანიზაცია (15 თურქეთიდან, 5 ბულგარეთიდან, 20 უკრაინიდან, 10 საქართველოდან) 25 ადგილობრივი მედია ორგანიზაცია (10 თურქეთიდან, 5 ბულგარეთიდან, 7 უკრაინიდან, 3 საქართველოდან) ჩართულნი იქნებიან ეკოსისტემის საგანმანათლებლო პროგრამაში.

### 2. პროექტის შედეგები: შესრულდა თუ არა პროექტის ამოცანები?

მიღწეულ მიზნებზე საუბრისას, რაღა თქმა უნდა, უნდა გავითვალისწინოთ ის ინდიკატორები რომელთაც თითოეულ მიზანს ახლავს.

შემიძლია, ვთქვა, რომ საკმაოდ კმაყოფილი ვარ იმ პროგრესით, რასაც პროექტმა მიაღწია ზოგადად და აქტივობების დაგეგმვის კუთხით, რომლებშიც ათსობით ადამიანი იყო ჩართული, ასევე სამართლებრივი პროცედურების დაკმაყოფილების კუთხით.

მარტივი არ იყო მეთოდოლოგიის შემუშავება და რეალიზება, ჩვენ დიდი გზა გამოვიარეთ. გლობალური პანდემია ამ მხრივ ყველაზე დიდი წნეხი გახლდათ, რომელიც ახლაც გვზღუდავს. ვცდილობთ, ჩვენი ალტერნატიული გეგმა B განვახორციელოთ.

#### ✓ ეკოსისტემის ტრენინგების ციკლი მომზადდა 4 ენაზე

ეკოსისტემის შესახებ ვიდეო ფილმები: ეს საგანმანათლებლო რესურსი შედგება 5 ძირითადი ნაწილისგან ( ეკოსისტემა, ბუნებრივი ბალანსი ) ეკოსისტემის საფრთხეები, ვაბინძურებ თუ არა გარემოს? ეკოლოგიური ნაკვალები, რა უნდა მოიმოქმედონ ინდივიდებმა და ინსტიტუციებმა ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად, რა ტიპის ქვევითი ცვლილებებია საჭირო ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც გარემოს პრობლემების პრევენციას მოახდენს. აღნიშნული ვიდეოები პროფესიონალებისგან შემდგარი გუნდის მიერ მომზადდა.

- ✓ შეიქმნა ონლაინ თამაში
- ✓ შემუშავდა ეკოსისტემის შესახებ ცნობიერების გამოკითხვა
- ✓ EEP ბროშურები მომზადდა
- ✓ EEP პოსტერები მომზადდა



Project funded by  
EUROPEAN UNION



# პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

## ელ.ბიულეტენი No:21

საერთო საზღვრები, საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსი

- ✓ მომზადდა ინსტრუქციები მომხმარებლებისთვის / მასწავლებლებისთვის
- ✓ EEP კოორდინატორებად გადამზადდნენ მასწავლებლები
- ✓ . მასწავლებლებმა გადაამზადეს მოსწავლეები, თუმცა, ჩვენი ტრენინგების ჯერ არ დასრულებულა, ველოდებით ეპიდემიის დასრულებას.

იმ ღონისძიებების შესრულებისთვის, რომელთა განხორციელებასაც ეპიდემია აფერხებს, დამატებითი დროს მოვითხოვთ.

### 3. პროექტის მდგრადობა: ვინ ისარგებლებს პროექტის მიღწევებით და როგორ მისი დასრულების შემდგომ? სრულდება თუ არა პროექტი გეგმის მიხედვით?

ამ პროექტს აქვს 3 მნიშვნელოვანი შედეგი:

- **საზღვაო ნარჩენის მონიტორინგის სისტემა (ონლაინ პორტალი):**  
ჩვენ ვუზრუნველყოფთ რომ, სულ მცირე 20 ინსტიტუცია, რომელიც კავშირშია საზღვაო დაბინძურებასთან სარგებლობდეს ამ პორტალით თითოეულ ქვეყანაში. ამ ორგანიზაციებს საშუალება ექნებათ მონიტორინგი გაუწიონ და მოახდინონ საზღვაო დაბინძურების ონლაინ რეპორტიინგი შავის ზღვისა და ევროკავშირის ქვეყნებში. სისტემის ხელმისაწვდომობა და ამ ინსტიტუციათა ინტეგრაცია სისტემაში პროექტის მდგრადობის კუთხით მნიშვნელოვანი ასპექტია.
- **ეკოსისტემის საგანმანათლებლო პროგრამა**  
ეკოსისტემის შესახებ მომზადდა პროგრამა 4 ენაზე, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ონლაინ. ასევე ამ რესურსების გამოყენება შესაძლოა ტრენინგის მასალად. ჩვენ ასევე გვექნება ინიციატივები ამ რესურსების საგანმანათლებლო კურიკულუმში დანერგვის კუთხით, მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ასაკობრივი ფაქტორი. აქედან გამომდინარე სამიზნე აუდიტორიად შეირჩნენ 7-16 წლის მოსწავლეები და მათი მასწავლებლები.
- **მესამე და ასევე მნიშვნელოვანი შედეგია ათასობით გადამზადებული მოსწავლე და მასწავლებელი, რომლებიც აღჭურვილნი არიან ეკოსისტემის დაბინძურებაზე საჭირო ინფორმაციით.** ვფიქრობ, ეს ჯგუფი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ ცოდნის და ცნობიერების პოპულარიზაციის კუთხით ფართო საზოგადოებაში.
- მომზადებული რესურსები 4 ენაზეა და ხელმისაწვდომია თითოეულ ქვეყანაში.

### 4. ნასწავლი გაკვეთილები: რას გააკეთებდით სხვაგვარად?

- პროექტის გუნდის უკვე არსებული გამოცდილებით, აღნიშნული პროექტი კარგად იყო შემუშავებული და ორგანიზებული, ასე რომ, იგივენაირად დავგეგმავდით პროექტს.
- მიღებულ გამოცდილებაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს გლობალური პანდემია, რომელმაც ნამდვილად დიდი გამოცდილება შეგვძინა, ჩვენ ასევე ვიფიქრებთ დისტანციური განათლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის დანერგვაზე იმ



# პროექტის “ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემო სტატუსისთვის-BSB257” ყოველთვიური ელ.ბიულეტენი

ელ.ბიულეტენი No:21

საერთო საზღვრები, საერთო გადაწყვეტილებები

” პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი ოპერაციული პროგრამის შავი ზღვის აუზი 2014-2020” პირველი კონკურსი

ინსტიტუციებში, რომელთაც ეკოსისტემის, საზღვაო დაბინძურებისა და მონიტორინგის შესახებ ტრენინგები უნდა ჩაატარონ სკოლებში.

- პროექტის მიმდინარეობის დროს და ასევე მისის დასრულების შემდეგ, გამოვიყენებთ დისტანციურ საგანმანათლებლო გარემოს რათა გავამყაროთ პროექტის მდგრადობა, ჩვენ ასევე შევიმუშავებთ ინიციატივებს ასეთი ინფრასტრუქტურის შექმნისთვის.

## 5. ENI დამატებითი ღირებულება:რა შეცვალა ENI დაფინანსებამ? სხვაგვარად თუ გააკეთებდით

- შავი ზღვა გახლავთ ჩვენი საერთო ღირებულება. როგორც დასაწყისში უკვე აღვნიშნე , საზღვაო დაბინძურება კომპლექსური პრობლემაა და მისი გადაჭრა საერთაშორისო ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. ამ მხრივ თითქმის არ არსებობს, ან ძალიან მცირეა ისეთი პროგრამები, რომელიც ასეთ ერთობლივ ქმედებებს დაუჭერდა მხარს.
- ENI-სგან მიღებული დაფინანსების წყალობით, 4 სხვადასხვა ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა ინსტიტუციებს შორის მუდმივ პარტნიორობას. ამ პროექტმა შექმნა ორი მეტად ღირებული პროდუქტი, როგორცაა საზღვაო ნარჩენის მონიტორინგი და ეკოსისტემის ტრენინგის მოდული, რომელიც მზად არის გამოსაყენებლად. დამატებით, უნდა ითქვას, რომ ეკოსისტემის და საზღვაო დაბინძურების საპრევენციოდ, პროექტმა გადაამზადა ათასობით სკოლის ასაკის ბავშვები და მოსწავლეები,
- ძალიან შთამბეჭდავია, მოსწავლეების ენთუზიაზმის და მათ მიერ გაწეული საქმიანობა ტეკირდაგში, ოდესაში, ბურგასსა და გურიაში.
- შესაძლებელი იყო რაიმეს გაკეთება ადგილობრივად, თუმცა არა ამ განზომილებაში. ასე რომ, სლოვანი საერთო საზღვრები საერთო გადაწყვეტილებებისთვის საკამოდ არსიანია.
- სხვაგვარად ამის მიღწევა რთული იქნება.

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020

მასალის რედაქტირება: ნამიკ ქემალის უნივერსიტეტი

გამოქვეყნების თარიღი: 30 ივნისი, 2020 წ.

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020, თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში და ასევე მისი მონაწილე ქვეყნების მიერ: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა. ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარების ფარგლებში. პუბლიკაციაში გამოთქმული შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ნამიკ ქემალის უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას და არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს.

